სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესია აკორექტურებს ახალ კანონს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ

სერბეთში კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონის მისაღებად მზადებამ, რაც უკვე რამდენიმე თვეა გრძელდება, ბევრი შეკითხვა გამოიწვია სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან. ამ საკითხს დაეთმო ყურადღება ახლახან გამართულ სამღვდელთმთავრო კრებაზე, რამაც, მისი დასრულების შემდეგ, ასახვა ჰპოვა ოფიციალურ ანგარიშებშიც.

31 მაისს სერბეთის უწმინდესმა პატრიარქმა პორფირიმ კულტურის მინისტრს მაია გოიკოვიჩს წერილი გაუგზავნა, სადაც ხაზი გაუსვა, რომ სერბეთის ეკლესია, რომელიც სერბეთის რესპუბლიკაში კულტურული მემკვიდრეობის უძრავ-მოძრავი ქონების ყველაზე მსხვილი მფლობელია, პრაქტიკულად არ არის ჩართული კულტურული მემკვიდრეობი შესახებ ახალი კანონის მომზადების პროცესში, მიუხდავად იმისა, რომ ეს კანონი პირდაპირ ეხება მის ცხოვრებას.

წერილში პატრიარქი პორფირი სთავაზობს კანონის მიღების გადადებას, რის მიზეზადაც კანონპროექტის ტექსტში არსებულ მთელ რიგ უცნაურობებზე მიუთითებს, კერძოდ: კანონპროექტში არაერთხელაა ნახსენები ვოევოდინის ავტონომიური მხარე და არც ერთხელ – კოსოვოსა და მეტოქიის

ავტონომიური მხარე, სადაც სერბეთის კულტურული მემკვიდრეობა მუდმივი საფრთხის ქვეშ იმყოფება, განიცდის თავდასხმებსა და შებილწვას. ამგვარად, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს მხარე, თავისი კულტურული ძეგლებით, ფაქტიურად გამორიცხულია სახელმწიფო დაცვის სისტემიდან, რაც სინამდვილეში ასე არ არის, – აღნიშნავს სერბეთის ეკლესიის მეთაური. ასევე, ამ ფაქტმა შეიძლება გავლენა იქონიოს და ის ძალისხმევა შეამციროს, რასაც სახელმწიფო ახორციელებს კოსოვოსა და მეტოქიაში სერბეთის კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად.

ეკლესიის წინამძღვარმა იმაზეც მიუთითა, რომ კანონპროექტის ერთ-ერთი პუნქტის თანამხმად, სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესია de facto პრაქტიკულად კარგავს უფლებას, თავისი მისიისათვის გამოიყენოს კულტურული მემკვიდრეობა, რომლის მესაკუთრეც თვად არის საუკუნეების მანძილზე. უფლებათა დაცვის სპეციალისტებმა პატრიარქს განუმარტეს, რომ კანონის ამ პუნქტის ამოქმედების შემთხვევაში ეკლესია მესაკუთრიდან მომხმარებლად იქცევა.

მიმართვის ბოლოში პატრიაქმა პორფირიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კანონის ამ სახით მიღება არ შეუწყობს ხელს კოსოვოსა და მეტოქიის ტერიტორიებზე სერბეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური წესითა და კულტურული მიღწევების დაცვის სისტემით კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და სახელმწიფოს ოცწლიან ერთობლივ, აქტიურ ბრძოლას.

ამ მიმართვაზე პასუხად სერბეთის ვიცე-პრემიერმა და კულტურისა და ინფორმაციის მინისტრმა მაია გოიკოვიჩმა პატრიარქ პორფირის აცნობა, რომ სამუშაო შეხვედრაზე მიღებულ იქნა სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შენიშვნები და წინადადებები კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით. მინისტრი დარწმუნებულია, რომ ურთიერთთანამრომლობის გზით მომავალში მიღწეული იქნება საუკეთესო გადაწყვეტილება აღნიშნული კანონის პროექტთან მმართებით, რომელიც, მისი სიტყვებით, კიდევ ერთი ნაბიჯი გახდება სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივი ძალისხმევისა ქვეყნისა და ხალხის კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად მომავალი თაობებისათვის.

კულტურის სამინისტროში ასევე განაცხადეს, რომ კანონის მიღების პროცედურა დაიწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც შედგება მისი ტექსტის შეთანხმება სერბეთის მართლმადიდებელ ეკესიასთან – სერბეთის რესპუბლიკის სულიერი, მოძრავი და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ყველაზე მსხვილ მფლობელთან.

თავის მხრივ, პატრიარქმა პორფირიმ სამინისტროს სამადლობელი წერლი გაუგზავნა, სადაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქ-ნ გოიკოვიჩის მოქმედებაში ხედავს „სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას“ და „ინტელექტუალისა და პატრიოტის პირად პოზიციას“.

სერბეთის ეკლესია უმოკლეს ვადებში გეგმავს გამოარჩიოს თავისი წარმომადგენლები, ვინც კულტურის სამინისტროს სპეციალისტებთან ერთად შეუდგებიან კულტურული მემკვიდრეობის შესახებ

კანონპროექტის დასრულებაზე მუშაობას.

Православие.Ru/
სსკგ კომუნიკაციების სამსახური

გაზიარება:

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87410/